დამტკიცებულია სკოლის დირექტორის
ბრძანებით#2-47
12.09.2023

სკოლა ,,პეგასის“
შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა
2023-2030 წლები

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს სკოლა ,,პეგასის“ მისიას, ხედვას, ღირებულებებსა და სტრატეგიულ მიზნებს. სტრატეგია განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურსების მოძიებით. სტრატეგიული გეგმა დეტალურად ახდენს გარემო ფაქტორების და შიდა გარემოს SWOT (სიძლიერე, სისუსტე, შესაძლებლობები და საფრთხე) ანალიზს.

7 (შვიდ) წლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტის შედგენისას გათვალისწინებული იქნა, როგორც წინარე გამოცდილება, ასევე, ახალი გამოწვევები. ინფორმაციის შეჯერების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებითა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით: ძირითად ამოცანად სკოლა ისახავს მოსწავლეებს მისცეს ხარისხიანი, 21-ე საუკუნის შესაბამისი განათლება, მოამზადოს ისინი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, ხელი შეუწყოს საჭირო უნარ-ჩვევების, პიროვნული ღირებულებების ჩამოყალიბებას შესაბამისი კვალიფიციური კადრების მეშვეობით.
სკოლა ,,პეგასს“ ავტორიზებულ პირობებში გამოცდილება ჰქონდა 6 წლიანი სტატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისა და განვითარების, შესაბამისად გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავდა წინამდებარე დოკუმენტი.

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავების პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორის მოადგილე, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, საჭირო ინფორმაციის შეგროვებას.

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის რეალიზება ხდება შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით. ობიექტური ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია მოხდეს სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა გარკვეული პერიოდულობით.

სკოლის შესახებ ინფორმაცია

სკოლა თავის საქმიანობას წარმართავს საჯაროობისა და გამჭირვალობის პრინციპების დაცვით და დამოუკიდებლად ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის - „ზოგადი განათლების შესახებ“, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, ასევე სხვა სამართლებრივი და ნორმატიული აქტებით.

სკოლა უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას ქართულ სექტორზე, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

სკოლის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას მოქმედი კანონმდებლობით ახორციელებს დირექტორი.

სკოლას ჰყავს მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო პედაგოგიური საბჭოს სახით, რომელშიც შედის სკოლის ყველა პედაგოგი.

სკოლას ჰყავს მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანო საბაზო და საშუალო საფეხურებზე.

SWOT - ანალიზი

იმისათვის, რომ სკოლამ მოახერხოს თავისი მისიის შესრულება და მოსწავლეებისათვის საუკეთესო საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზება, აუცილებელია სწორად იქნეს დანახული სკოლის მიერ დასახული და შესრულებული სტრატეგიული გეგმის დადებითი და უარყოფითი, სუსტი და ძლიერი მხარეები. სისუსტეების გამოვლენა მიმართულია იმისკენ, რომ არსებული შესაძლებლობის ფარგლებში გადაიქცეს ძლიერ მხარეებად, ხოლო საფრთხეების წინასწარ შეფასება საშუალებას იძლევა, რომ სკოლა მზად დახვდეს სავარაუდო გამოწვევებს. წარმოდგენილია სკოლის მართვის გუნდის მიერ სკოლა ,,პეგასის“:

S (ძლიერი მხარე)	W (სუსტი მხარე)
• პოზიტიური, წამახალისებელი გარემო; • მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო; • თანამშრომლობითი სასწავლო გარემო; • სასკოლო კულტურა; • კვალიფიციური პერსონალი; • უსაფრთხოება; • მრავალწლიანი არსებობა საგანმანათლებლო ბაზარზე და მუშაობის გამოცდილება.	• არასრულყოფილი ინკლუზიური გარემო; • სასკოლო ცხოვრებაში საბაზო და საშუალო საფეხურის მშობელთა დაბალი დაინტერესება და ჩართულობა; • სკოლის დამატებითი სერვისების სიმწირე; • საკმარისი ბიუჯეტის არარსებობის გამო ადმინისტრაციული/აკადემიური კადრებისათვის კვალიფიკაციის ასამაღლებლად საჭირო სერვისების სიმცირე;
O (შესაძლებლობები)	**T (საფრთხე)**
• დამატებითი შემოსავლების მოზიდვა/მოძიება დამატებითი მომსახურების შეთავაზების ხარჯზე; • სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა, ერთობლივი პროექტების განხორციელება; • ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის ზრდა/განვითარება.	• არასტაბილური ეკონომიკური გარემო; • ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების სიმცირე ბაზარზე; • რეგულაციების ხშირი ცვლილებით გამოწვეული საფრთხეები.

სტრატეგიული მიმართულებები:

სკოლის შესაძლებლობებისა და გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი), მისიითა და ხედვით განსაზღვრული მიზნებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების განხორციელებისათვის სკოლა ,,პეგასს“ აქვს 2023-2030 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით:

- **სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;**
- **ადამიანური რესურსის განვითარება;**
- **მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;**
- **უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;**
- **სასკოლო საზოგადოების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა;**
- **მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;**
- **ორგანიზაციული განვითარება.**

თითოეული სტრატეგიული მიმართულება თავის მხრივ, იყოფა ამოცანებად.

1. **სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება**
    - ახალი პროგრამების შემუშავება/დანერგვა;
    - სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა;
    - სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება;
    - აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდა.

სასწავლო პროცესი ჩვენს სკოლაში მიზანმიმართულად არის ორგანიზებული ისე, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენას და მათ ინტელექტუალურ განვითარებას. ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნით ვუზრუნველყოფთ, რომ მოსწავლეებმა აითვისონ არა მხოლოდ ინფორმაციის მიღება, არამედ ცოდნის გააზრება და პრაქტიკაში გამოყენება, დამოუკიდებლად დასკვნების გამოტანა, არგუმენტირებული შეფასების გაკეთება და საკუთარი სწავლის რეფლექსია. მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგი და განვითარების დინამიკის დადგენა ჩვენს სკოლაში განიხილება როგორც ხარისხიანი განათლების მიღების მნიშვნელოვანი წინაპირობა. ამ მიზნით რეგულარულად ვაგროვებთ და ვაანალიზებთ მონაცემებს (სასწავლო შედეგები, მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასებები, დაკვირვებები, უკუკავშირი), რის საფუძველზეც ვგეგმავთ თანმდევ მხარდამჭერ ღონისძიებებს: დამატებით სასწავლო აქტივობებს, ინდივიდუალურ ან ჯგუფურ კონსულტაციებს, დიფერენცირებულ დავალებებს და საჭიროების შემთხვევაში—ინდივიდუალური საგანმანათლებლო მხარდაჭერის გეგმებს. ჩვენი პრაქტიკის მიზანია თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება და სწავლის ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2023 - 2024	2024 - 2025	2025 - 2026	2026 - 2027	2027 - 2028	2028 - 2029	2029 - 2030
სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება	ახალი პროგრამების შემუშავება/ დანერგვა							
	სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა							

	სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/ განხორციელება							
	აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდა							

1. ადამიანური რესურსის განვითარება

- პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება;
- აკადემიური კორპუსის გაძლიერების მიზნით კადრების მოზიდვა;
- ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება.

ხარისხიანი განათლებისა და ეფექტური სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა ჩვენს სკოლაში მჭიდროდ უკავშირდება კვალიფიციურ, მომზადებულ და პროფესიული ზრდისადმი მუდმივად ორიენტირებულ მასწავლებელს. შესაბამისად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება წარმოადგენს სკოლის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას და განიხილება როგორც სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მთავარი მექანიზმი. ამ მიზნის მისაღწევად სკოლა სისტემურად გეგმავს და უზრუნველყოფს როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობ ღონისძიებებს. კერძოდ, ორგანიზდება და/ან მხარდაჭერილია ტრენინგებში, ვებინარებში, სამუშაო შეხვედრებსა და სემინარებში მონაწილეობა; ხორციელდება გამოცდილების გაზიარება კოლეგიალურ დონეზე (გაკვეთილებზე დაკვირვება, ერთობლივი დაგეგმვა, პროფესიული დიალოგი); მხარდაჭერილია სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებსა და პროექტებში ჩართულობა. პარალელურად, სკოლა წაახალისებს თვითგანვითარებასა და რესურსების მიზნობრივ გამოყენებას, ხოლო პროფესიული განვითარების აქტივობების ეფექტიანობა პერიოდულად ფასდება უკუკავშირის, თვითრეფლექსიისა და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, რათა დაგეგმვა მაქსიმალურად შეესაბამებოდეს სკოლის საჭიროებებს და სწავლების ხარისხზე რეალურ გავლენას ახდენდეს.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2023 - 2024	2024 - 2025	2025 - 2026	2026 - 2027	2027 - 2028	2028 - 2029	2029 - 2030
ადამიანური რესურსის განვითარება	პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება							
	აკადემიური კორპუსის გაძლიერების მიზნით კადრების მოზიდვა							
	ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის საჭიროებების დადგენა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება							

2. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- საგანმანათლებლო/სასწავლო რესურსების განახლება/შევსება;
- საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესება;
- ფინანსური მდგრადობა.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხიანი წარმართვა ჩვენს სკოლაში დამოკიდებულია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ხელმისაწვდომობაზე და მათი მიზნობრივად გამოყენების შესაძლებლობაზე. სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო, მოწესრიგებული და სწავლაზე ორიენტირებული გარემოს შექმნა, რაც გულისხმობს სასწავლო სივრცეების, სასკოლო ინვენტარისა და საჭირო რესურსებით საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტ უზრუნველყოფას. ამ მიმართულებით სკოლა ეტაპობრივად ახორციელებს მატერიალური ბაზის განვითარებასა და განახლებას: მიმდინარეობს სასკოლო ინვენტარის შევსება/განახლება, სასწავლო რესურსების უზრუნველყოფა საგნობრივი საჭიროებების შესაბამისად, საბიბლიოთეკო ფონდის რეგულარული განახლება თანამედროვე და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო ლიტერატურით. ასევე, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზის განვითარებას (კომპიუტერული ტექნიკა, ინტერნეტწვდომა, ციფრული რესურსები), რაც ხელს უწყობს თანამედროვე სასწავლო მიდგომების დანერგვას. პარალელურად, სკოლა მუშაობს ლაბორატორიული სივრცეების და შესაბამისი აღჭურვილობის განახლება-განვითარებაზე, რათა პრაქტიკული, კვლევაზე დაფუძნებული სწავლება გახდეს უფრო ხელმისაწვდომი და ეფექტური. საჭიროებების განსაზღვრა ხორციელდება პერიოდული ინვენტარიზაციის, პედაგოგიური პერსონალის უკუკავშირის და სკოლის განვითარების გეგმის პრიორიტეტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ დაგეგმვას და ხარისხზე ორიენტირებულ გაუმჯობესებას.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2023 - 2024	2024 - 2025	2025 - 2026	2026 - 2027	2027 - 2028	2028 - 2029	2029 - 2030
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება	ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება							
	საგანმანათლებლო/სასწავლო რესურსების განახლება/შევსება							
	საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესება							
	ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა							

3. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა

- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა;
- უსაფრთხოების ნორმების დაცვა;
- უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება.

ჩვენს სკოლაში სასწავლო პროცესი და აღზრდის სისტემა ემყარება სამართლიანობისა და ურთიერთნდობის პრინციპებს. ჩვენთვის პრიორიტეტულია ისეთი გარემოს უზრუნველყოფა, სადაც თითოეული მოსწავლე თავს გრძნობს უსაფრთხოდ, დაცულად, ხოლო სკოლაში მოქმედი წესები არის გამჭვირვალე, თანმიმდევრულად აღსრულებადი და მიმართულია როგორც უფლებების დაცვაზე, ისე პასუხისმგებლობის განვითარებაზე.

ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში შექმნილია უსაფრთხოების მკაფიოდ განსაზღვრული სისტემა. სკოლაში დამონტაჟებულია ვიდეოსამეთვალყურეო კამერები, დაცულია სახანძრო უსაფრთხოების ნორმები და რეგულაციები, ხოლო რისკების პრევენციის მიზნით ტარდება შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები. უსაფრთხოების პროცედურები პერიოდულად მოწმდება და საჭიროების შემთხვევაში ახლდება, რათა მუდმივად შეესაბამებოდეს სკოლის რეალურ საჭიროებებს.

ამასთან, სკოლა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სასკოლო საზოგადოების მზაობას კრიტიკულ სიტუაციებში მოქმედებისთვის. მოსწავლეებსა და თანამშრომლებს მიეწოდებათ აუცილებელი ინფორმაცია და პრაქტიკული ინსტრუქციები საგანგებო შემთხვევებში ქცევის წესების შესახებ, ტარდება ცნობიერების ამაღლების აქტივობები და საჭიროების ფარგლებში სავარჯიშო/სიმულაციური ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარებას და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლიანი კულტურის ჩამოყალიბებას სკოლაში.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2023 - 2024	2024 - 2025	2025 - 2026	2026 - 2027	2027 - 2028	2028 - 2029	2029 - 2030
უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა	საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა							
	უსაფრთხოების ნორმების დაცვა							
	უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება							

4. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

- მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობების გაზრდა;
- მშობელთა ჩართულობა სასწავლო აღმზრდელობით პროცესში;
- მშობლებთან ურთიერთობების ფორმების დახვეწა;
- მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა;

სკოლა „პეგასის“ წარმატებული ფუნქციონირებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პრიორიტეტია სასკოლო საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციისა და თანამშრომლობის სისტემის ჩამოყალიბება. ჩვენთვის არსებითია ურთიერთობა, რომელიც ეფუძნება პარტნიორობას, ურთიერთპატივისცემას და საერთო პასუხისმგებლობას მოსწავლის აკადემიური და პიროვნული განვითარების მიმართ. სკოლა უზრუნველყოფს, რომ სასკოლო საზოგადოებისთვის — მათ შორის მოსწავლეებისა და მშობლებისთვის — ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესების, მიღწევების, სიახლეების და ინიციატივების შესახებ იყოს ღია, დროული და ხელმისაწვდომი. ამ მიზნით გამოიყენება კომუნიკაციის სხვადასხვა არხი (მშობელთა შეხვედრები, ინდივიდუალური კონსულტაციები, შეტყობინებები/ელ.კომუნიკაცია, სკოლის ოფიციალური სივრცეები/გვერდები და სხვა), რათა თითოეულმა დაინტერესებულმა პირმა მიიღოს ზუსტი ინფორმაცია და შეძლოს პროცესებში მონაწილეობა. სკოლის წარმატებული საქმიანობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად განიხილება მშობელთა ჩართულობა, რაც პირდაპირ დამოკიდებულია მათ ინფორმირებულობაზე. შესაბამისად, სკოლა მიზანმიმართულად ქმნის შესაძლებლობებს მშობლებთან რეგულარული უკუკავშირისთვის, მოსწავლის წინსვლისა და საჭიროებების გაზიარებისთვის, სკოლაში განხორციელებული საქმიანობის განხილვისთვის და საერთო გადაწყვეტილებების მისაღებად. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს ნდობის განმტკიცებას, თანამშრომლობის კულტურის განვითარებას და, საბოლოო ჯამში, მოსწავლეთა წარმატებას.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2023 - 2024	2024 - 2025	2025 - 2026	2026 - 2027	2027 - 2028	2028 - 2029	2029 - 2030
სასკოლო საზოგადოების ჩართულობა	მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობების გაზრდა							
	მშობელთა ჩართულობა სასწავლო აღმზრდელობით პროცესში							
	მშობლებთან ურთიერთობების ფორმების დახვეწა							
	მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა							

5. მოსწავლეთა მხარდაჭერა

- მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის უზრუნველყოფა;
- დამატებითი სერვისების განვითარება;
- მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

ნაყოფიერი სასწავლო პროცესის საფუძველს ჩვენს სკოლაში წარმოადგენს მოწესრიგებული, უსაფრთხო და კომფორტული სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეები თავს დაცულად გრძნობენ და აქვთ სრული შესაძლებლობა სასწავლო საქმიანობაში ჩაერთონ. სკოლის მიზანია პირველ რიგში უზრუნველყოს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია, მოიპოვოს მისი ნდობა და შეუქმნას მიმღებლობითი, თანადგომაზე დაფუძნებული გარემო, რომელიც ხელს უწყობს როგორც აკადემიურ, ისე სოციალურ-ემოციურ კეთილდღეობას.

სკოლა იყენებს მხარდაჭერის სტრატეგიებს, რომლებიც მიმართულია სწავლებისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნასა და თითოეული მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ თანმიმდევრულ დახმარებაზე. აღნიშნული მიდგომის ფარგლებში უზრუნველყოფილია პრევენციული და მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება, პოზიტიური ქცევის გაძლიერება, მოტივაციის წახალისება და მოსწავლის აკადემიური თუ ქცევითი მიღწევების დროული აღიარება. საჭიროების შემთხვევაში სკოლა თანამშრომლობს კლასის დამრიგებელთან, საგნის მასწავლებლებთან და შესაბამის სპეციალისტებთან, რათა მხარდაჭერა იყოს მიზნობრივი და შედეგზე ორიენტირებული.

ამასთან, მოსწავლეთა სრულფასოვანი განვითარებისათვის სკოლა მნიშვნელოვან ადგილს უთმობს არაფორმალურ განათლებას. მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით შეთავაზებულია სხვადასხვა კლუბები, წრეები და დამატებითი აქტივობები/მომსახურებები, რაც ხელს უწყობს მათი უნარების განვითარებას, შემოქმედებითობის გაძლიერებას, კომუნიკაციასა და გუნდურ მუშაობას. სკოლა ასევე ზრუნავს სასკოლო საზოგადოებისთვის სიახლეების, ინიციატივებისა და დამატებითი საგანმანათლებლო შესაძლებლობების შეთავაზებაზე, რათა სკოლის ცხოვრება იყოს მრავალფეროვანი, ჩართულობაზე დაფუძნებული და მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2023 - 2024	2024 - 2025	2025 - 2026	2026 - 2027	2027 - 2028	2028 - 2029	2029 - 2030
მოსწავლეთა მხარდაჭერა	მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის უზრუნველყოფა							
	დამატებითი სერვისების განვითარება							
	მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება							

ორგანიზაციული განვითარება

- სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- სკოლის ცნობადობის გაზრდა;
- ახალ სტანდარტებთან შესაბამისობასთან მოყვანის ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება;

თანამშრომლობითი კულტურის განვითარება სკოლის სტრატეგიული წინსვლის ერთ-ერთ უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს. ჩვენი ხედვით, ეფექტური ფუნქციონირება წარმოუდგენელია, პირველ რიგში, სკოლის შიდა გარემოში მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე. სკოლა ხელს უწყობს ადმინისტრაციას, პედაგოგებს, მოსწავლეებსა და მშობლებს შორის გუნდური მუშაობის პრინციპების დამკვიდრებას, რაც საშუალებას გვაძლევს ერთობლივი ძალისხმევით გადავჭრათ არსებული გამოწვევები და ეფექტურად მივაღწიოთ დასახულ საგანმანათლებლო მიზნებს. ამასთან, სკოლა აქტიურად ავითარებს გარე პარტნიორობებს და მიიჩნევს, რომ თანამედროვე, კონკურენტუნარიან გარემოში აუცილებელია მრავალმხრივი თანამშრომლობა სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, სკოლებთან, კერძო პირებთან, უნივერსიტეტებთან, ადგილობრივ თემთან და სხვა ორგანიზაციებთან. ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და მის სტრუქტურულ ერთეულებთან, რათა სკოლის წარმატებით დაინტერესებულმა ყველა მხარემ შეძლოს საკუთარი წვლილის შეტანა სასწავლო პროცესის გამდიდრებაში. ასეთი თანამშრომლობა გვეხმარება საუკეთესო გამოცდილების გაზიარებაში, ინოვაციების დანერგვასა და მოსწავლეებისთვის მეტი შესაძლებლობის შექმნაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის სტრატეგია ორიენტირებულია მუდმივ განვითარებასა და ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებაზე. ჩვენი მიზანია მომავალი ავტორიზაციის პროცესისათვის სკოლაში მოქმედი მართვისა და სწავლების მექანიზმების მუდმივი მონიტორინგი, შეფასება და დახვეწა, რათა სრულად შევესაბამებოდეთ თანამედროვე სტანდარტებს და უზრუნველვყოთ მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურება.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2023 - 2024	2024 - 2025	2025 - 2026	2026 - 2027	2027 - 2028	2028 - 2029	2029 - 2030
ორგანიზაციული განვითარება	სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან/ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა							
	სკოლის ცნობადობის გაზრდა							
	სრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესისათვის მომზადება							